პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 107 (1277) | კვირა, 7 სექტემბერი 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

საგჭოთა სპორტსმენეგი საზღვარგარეთ

საფრანგეთი

ქალაქ რეიმსში გაიმართა ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობა საგზატკეცილო რბოლაში. ვაჟებს შორის 177,939-მეტრიან დისტანციაზე (9 წრე) სტარტზე გამოვიდა 30 ქვეყნის 130 სპორტსმენი. ფინიშთან ერთდროულად მივიდა 8 ველოსიპედისტი, რომლებმაც აჩვენეს ერთნაირი შედეგი — 4:53.19. გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ ფოტოფირის საშუალებით, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი გ. შურის (გდრ) სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის ველორბოლაში წელს პირველად გაიმართა. 20 კილომეტრზე უველას აჯობა ლუქსემბურგელმა ე. ჟაკობიმ — 1:50,50. ტ. ნოვიკოვა (საბჭოთა კავშირი) გამოვიდა მეორე ადგილზე.

საგზატკეცილო პირველობის დამთავრების შემდეგ პარიზში დაიწყო მსოფლიო პირველობა ტრეკზე. აქ 200 მეტრზე სისწრაფეზე შეჯიბრებაში ქალთა შორის ოქროს მედალი დაისაკუთრა საბჭოთა ველოსიპედისტმა გ. ერმოლაევამ — 13,5. მისმა თანაგუნდელმა ვ. მაქსიმოვამ მოიპოვა მეორე ადგილი. გამოდევნებით შეჯიბრებაში უველას აჯობა ლ. კოჩეტოვამ (საბჭოთა კავშირი).

100 მეტრი ქალთა შორის ზურგზე ცურვაში მოიგო ინგლისელმა დ. გრინჰეიმ—1.12,6. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის გაიმარჯვა დ. ჰანმა (ჰოლანდია) — 2.52,0. საბჭოთა კავშირის გუნდმა სოროკინის, ნიკოლაევის, პოლევოისა და ლუკიანოვის შემადგენლობით ესტაფეტაში 4×200 მ წინასწარ გაცურვაში აჩვენა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში უველაზე მაღალი შედეგი — 8.37,3. ვაჟთა შორის 100 მეტრზე ზურგით წინასწარ გაცურვაში ბარბიერმა (საბჭოთა კავშირი) დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი — 1.04,5.

წყალბურთელთა შეჯიბრების მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს ავსტრიელები.

3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა ლ. იუვარი (უნგრეთი). გასული წლის ჩემპიონმა რ. ბრენერმა (საბჭოთა კავშირი) დაიკავა მესამე ადგილი.

ათმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ა. კარეცკაიტემ, რომელმაც 81,14 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი რ. გორობოვსკაია.

ჩეხოსლოვაკია

რესპუბლიკის ოთხ ქალაქში — ლიბერეცში, პლზენში, პარდუბიცში და ჩესკე-ბუდეიოვიცაში მიმდინარეობს ფრენბურთელთა ევროპის მე-5 პირველობის წინასწარი შეხვედრები. ვაჟთა 20 და ქალთა 12 გუნდი დაყოფილია ქვეჯგუფებად. საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთ ქვეჯგუფში მოუგეს იუგოსლავებს — 3:2, ალბანელებს — 3:0, შემდეგ დაამარცხეს თურქები — 3:0, ავსტრიელები — 3:0.

ფინალში გავიდა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრები გუნდი, რომელმაც თავის ქვეჯგუფში მოუგო იუგოსლავიას — 3:0 და გფრ-ს — 3:0.

უნგრეთი

ბუდაპეშტში გრძელდება ევროპის IX პირველობა ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში.

ვაჟთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარ შეჯიბრებაში უველაზე კარგი დრო — 4.28,9 ჰქონდა ი. ბლეკს (ინგლისი), მეორე იყო თბილისელი ბ. ნიკიტინი — 4.37,1. ფინალში ინგლისელმა 2,4 წამით გაუმჯობესა შედეგი, ხოლო ნიკიტინმა — 0,9 წამით. ნიკიტინი მეორე ადგილზე გამოვიდა. გაიმარჯვა ბლეკმა. იგი პირველი იყო 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაშიც.

ხალდე-ბეზინგის კედლის მწვერვალებს შორის კარგად ცნობილია შხარა, ჯანღა, გესტოლა, ქათინი, თეთნულდი და სხვა. ბევრი ალპინისტი დავუკავებულა ამ მწვერვალებთან ბრძოლაში, ბევრი საინტერესო ამბავი ჩატარებულა აქ, მაგრამ კიდევ შერჩა ამ მწვერვალებს გაუვლელი და შეუსწავლელი კედლები.

და აი წელს ამ რაიონს ესტუმრნენ ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციის მონაწილენი 11 კაცის შემადგენლობით: დ. ობოლაძე (ხელმძღვანელი), ო. კაპანაძე, დ. დანგაძე, ა. ძიძიგური, გ. დევიძე (ძირითადი მოიერიშე ჯგუფი), ვ. თევდორაშვილი (დამხმარე ჯგუფის ხელმძღვანელი), ვ. მიხაილოვი, თ. ცერცვაძე, ლ. ღლონტი, დ. დიდებულიძე და ა. ახვლედიანი (დამხმარე ჯგუფის წევრები). ჯგუფს მიზნად ჰქონდა დასახული შხარის დასავლეთის მწვერვალის (5185 მ) სამხრეთ კედლით დაძლევა.

სოფელი ხალდე. იგი ერთ-ერთ უმაღლეს სოფლად ითვლება ევროპაში. ტუიანი ზოლი დამთავრდა და ჩვენს წინ იშლება კავკასიონის ალპური საძოვრები, სადაც სოფელ კალას საზაფხულო საკოლმეურნეო ფერმებია გაშენებული, საღამოს მოახლოების გამო ფერმების მახლობლად გავშალეთ კარვები. მწველავი ქალები მაწვნით და სვანური სულგუნით გვიმასპინძლდებიან.

5 აგვისტოს მწყემსებს გამოვეთხოვეთ და მძიმედ დატვირთულები გავუდექით გზას ხალდეს ყინვარის სათავეებისაკენ. 3000 მეტრის სიმაღლეზე გაიშალა ძირითადი ბანაკი.

დილით ცა მოიწმინდა. გამოჩნდა ხალდე-ბეზინგის მრისხანე კედელი. მისი თხემები შემოკრულია გუშაგებით და დაღარულ-დამრეცი გადმოკიდებული ყინვარებით, რომლებიც მტკიცედ დარჯობენ შხარისა და ჯანღა-ქათინის მიუვალ კედლებს. თავზე დაგვცქერის ჯერ უსახელო და მეტად ლამაზი მწვერვალი, რომელზედაც პირველი იერიში გვაქვს განზრახული. იგი აღმართულია განივ ქედზე, რომელიც გამოდის ხალდე-ბეზინგის მასივიდან, მიემართება სამხრეთისაკენ და წარმოადგენს წყალგამყოფს მდინარეებს ხალდესა და ადიშს შორის.

... ამინდი ისევ გამოიცვალა — ნისლმა დაფარა მწვერვალები, გადაუღებელი წვიმა, სეტყვა და თოვლი მოდის, ქრის დასავლეთის ქარი და კარვებს მოგლეჯით ემუქრება, დროგამოშვებით გვაცარიელებს. ჯერჯერობით გამოდარებას პირი არ უჩანს. ასე გაგრძელდა 9 აგვისტოს საღამოს 4 საათამდე, შემდეგ კი ამინდი სწრაფად გამოკეთდა და შვებით ამოვისუნთქეთ. სამზადისს შევუდექით უსახელო მწვერვალის იერიშისათვის.

10 აგვისტოს დილის 4 საათზე გავედით მწვერვალისაკენ, გადავჭერით ხალდეს ყინვარი და მცირე ბალახოვანი ფერდობის გავლის შემდეგ გადავედით კლდეებზე, რომლებიც უშუალოდ ქედისკენ მიემართება. კედლების პირველი მონაკვეთი არც თუ ისე რთული იყო, შემდეგ კი მოლოდინს გადააჭარბა. კლდოვანი ქედის გუშაგები მორიგეობით გველობებოდნენ წინ და სვლას ძალზე აფერხებდნენ. უყარადღებით ვიცავდით ერთმანეთს. აშკარა იყო, რომ რაც არ უნდა სწრაფად გვევლო, ამ დღეს მწვერვალს ვერ მივაღწევდით. ქედზე მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს კლდეები და ყინულოვანი კარნიზები. მივიწევთ წინ და ვფიქრობთ, სად უნდა გავათიოთ ღამე ყინულებისა და კლდეების ამ სამყაროში. მწვერვალამდე ალბათ კიდევ 4–5 საათის სავალი გზა დარჩა.

ღამის გასათევის ძებნის დროს წავაწყდით კლდეზე აშენებულ ნიშს, რომლის შიგნით კონსერვის ქილაში აღმოჩნდა 1935 წელს დატოვებული წერტილი.

პირველ საათზე დრუბლები ისევ აიშალა, ნისლით შეიმოსა მწვერვალები და თოვაც დაიწყო... ჯაწყისა და გესტოლის მიდამოებიდან

(დასასრული მე-4 გვ.).

რ ო გ ო რ დ ა ვ ი პ ყ ა რ ი თ შხარის კედელი

პორტორიკის ტურნირი

მე-17 ტურში ყველა პარტია მწვავედ მიმდინარეობდა. ამ დღეს ტალის წინააღმდეგ თამაშობდა პანო. ესპანურ დაცვაში ტალმა მალე გახსნა თამაში და იერიში განავითარა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგზე. არგენტინელმა გროსმაისტერმა დედოფალი შეწირა ორ ფიგურაში და უვნებელყო ტალის შეტევა. პარტია გადაიდო ტალის მცირე უპირატესობით.

პეტროსიან-სანგვინეტის შეხვედრაში პირველმა მიიღო პოზიციური უპირატესობა, მაგრამ შემდეგ აჩქარდა, ეტლი შეწირა ოფიცერში, რითაც სანგვინეტს საშუალება მისცა ყაიმისათვის მიეღწია.

კორდოსომ დაამარცხა ფიუშტერი, საბო-ბრონშტეინის, ფილიპ-როსეტოსა და პახმან-ფიშერის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გადადებულ პარტიებში გლიგორიჩი უგებს ნეიკირხს, ბენკო — მატანოვიჩს, თანაბარ მდგომარეობაშია გადადებული დეგრეიფ-ავერბახისა და შერვინ-ლარსენის პარტიები.

საუბლიკურ კომიჯეჯში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამას წინათ იმსჯელა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივში ზოგიერთი წევრის მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე.

დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები ჰქონდა სპორტის ოსტატ ბ. ხასაიას, რომელიც გაირიცხა „დინამოს“ ოსტატთა გუნდიდან და დისკვალიფიცირებულ იქნა.

გუნდის ახალგაზრდა მოთამაშე ა. კავაზაშვილი სისტემატურად არღვევდა დისციპლინასა და რეჟიმს. ამიტომ რესპუბლიკურმა კომიტეტმა ა. კავაზაშვილს გამოუცხადა საყვედური და მისცა პირობითი დისკვალიფიკაცია 1 წლით.

ზემოთჩამოთვლილ ფეხბურთელების გარდა სხვებსაც ჰქონდათ დისციპლინის დარღვევის ფაქტები, რომლებსაც აგრეთვე დაედოთ სათანადო სასჯელი.

სურათზე: საქართველოს სსრ თასის მფლობელი ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	17	11	4	2	45:22	26
ცსკ მო	19	8	8	3	37:22	24
„დინამო“ მ.	18	10	3	5	35:22	23
„შახტიორი“	17	9	3	5	21:21	21
„ზენიტი“	17	7	6	4	34:27	20
„ლოკომოტივი“	16	7	5	4	30:18	19
„ტორპედო“	18	5	8	5	43:35	18
„დინამო“ კ.	15	3	8	4	35:24	14
„დინამო“ თბ.	17	6	2	9	28:47	14
„კრ. სოვეტ.“	17	3	6	8	15:24	12
„მოლდოვა“	17	2	7	8	21:36	11
„ადმირალტ“.	20	3	0	17	21:57	6

* * *

მოსკოვი. 4 სექტემბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ცსკ მო-„მოლდოვა“ (ქიშინიოვი).

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და „დინამო“.

მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 2:0.

ლენინგრადი. 5 სექტემბერი. ადგილობრივმა „ადმირალტეელმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო“.

შეხვედრა დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით — 5:0.

კიევი. 5 სექტემბერი. კიევში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა—2:1.

ლენინგრადი. 6 სექტემბერი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

თამაში მოიგო ზენიტმა — 4:2.

საქართველოს სპარტაკიადა

I. მიზანი და ამოცანები

საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადა უნდა წარმოადგენდეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას საქართველოს სსრ რაიონებში.

სარაიონთაშორისო სპარტაკიადა მიზნად ისახავს:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის ფართო მასების შემდგომ ჩაბმას ფიზიკური კულტურითა და სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში;

ბ) სპორტის ძირითად და ეროვნულ სახეობათა ყოველმხრივ განვითარებას რესპუბლიკის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, აგრეთვე ნიჭიერ სპორტსმენთა ახალი კადრების გამოვლინებას ახალგაზრდობის რიცხვიდან, მათგან რაიონების ნაკრები გუნდების შევსების მიზნით სპორტის ცალკეულ სახეობებში;

გ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, მშრომელთა სოციალისტური შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების პროპაგანდას;

ე) უძლიერეს სპორტსმენთა და გუნდების შერჩევას და ხარისხიან მომზადებას საქართველოს სსრ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის სპორტის სახეობათა მიხედვით.

II. სპორტული ღონისძიებანი, რომლებიც წინ უსწრებენ საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადას

საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადას წინ უსწრებს:

1958 წელს

მასობრივი შეჯიბრებანი და სპარტაკიადები ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სატრაქტორო-სარემონტო სადგურებში, სკოლებში, საშუალო სასწავლო დაწესებულებებში.

მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადები, რომლებსაც ატარებენ სახალხო განათლების ორგანოები, სპორტსაზოგადოებათა სარაიონო სპარტაკიადები, კოლმეურნე და სოფლის ახალგაზრდობის სარაიონო სპარტაკიადები, რომლებსაც ატარებენ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოები.

1959 წელს

მასობრივი შეჯიბრებანი და სპარტაკიადები ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სატრაქტორო-სარემონტო სადგურებში, სკოლებსა და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში.

სარაიონო სპარტაკიადები, რომლებსაც ატარებენ ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები.

ფიზკულტურული კოლექტივების, სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებათა სპარტაკიადებში მონაწილეობისათვის დაიშვებიან ფიზკულტურელები, რომლებსაც განვლილი აქვთ შესაბამისი მომზადება და ექიმის მიერ დაშვებული არიან შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

სარაიონო სპარტაკიადებში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სარემონტო-სატრაქტორო სადგურების, სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები, რომელთა რიგებში არიან მშთ კომპლექსის ნიშნოსნები. სარაიონთაშორისო სპარტაკიადებში მონაწილეობისათვის დაიშვებიან რაიონების სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივები (სპორტსმენებს უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ მესამე თანრიგი).

III. საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადის მონაწილე ორგანიზაციები, მონაწილენი და ჩატარების სისტემა

საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადა ჩატარდება 6 ზონად:

ა) ზონა, რომელიც ჩატარდება მახარაძეში. მონაწილეობენ მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ვანის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, წულუკიძის რაიონები;

ბ) ზონა, რომელიც ჩატარდება ქ. ცხაკაიაში. მონაწილეობენ ცხაკაიას, უგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, მესტიის, გეგეჭკორის რაიონები;

გ) ზონა, რომელიც ჩატარდება ქ. ტყიბულში. მონაწილეობენ ტყიბულის, ქუთაისის, ლენტეხის, წყალტუბოს, ცაგერის, საჩხერის, ამბროლაურის, ჩხარის, ონის რაიონები.

დ) ზონა, რომელიც ჩატარდება ქ. ბორჯომში. მონაწილეობენ ბორჯომის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, კასპის რაიონები;

ე) ზონა, რომელიც ჩატარდება დუშეთში. მონაწილეობენ დუშეთის, გარდაბნის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, წალკის, თეთრი წყაროს, მცხეთის, უაზბეგის რაიონები;

ვ) ზონა, რომელიც ჩატარდება ქ. თელავში. მონაწილეობენ თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, თიანეთის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, სიღნაღის, საგარეჯოს, კაშრეთის რაიონები.

სარაიონთაშორისო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის სპორტის ცალკეულ სახეობებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ნებართვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნან ცალკეული კოლექტივების გუნდები, რომელთა შემადგენლობაში არიან არა ნაკლებ მესამე თანრიგის მქონე სპორტსმენები.

სარაიონთაშორისო სპარტაკიადის შეჯიბრებებში პირადი მონაწილეობისათვის სპორტის ცალკეულ სახეობებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პერსონალური ნებართვით, შეიძლება დაშვებულ იქნან არანაკლებ მეორე თანრიგის მქონე სპორტსმენები, რომლებიც ვერ მოხვდნენ რაიონების ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ამ სპორტის შესაბამის სახეობაში.

სპორტსმენთა გამოსვლა სპარტაკიადის პროგრამის რამდენიმე სახეობაში აკრძალულია.

IV. სპარტაკიადების ჩატარების დრო და ადგილი

1. სარაიონთაშორისო სპარტაკიადები ყველა ზონებში ტარდება 1959 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე.

სარაიონთაშორისო სპარტაკიადის დეგუსტაცია

V. სპარტაკიადის ჩატარების ხელმძღვანელობა

საერთო ხელმძღვანელობას სარაიონთაშორისო ზონალური სპარტაკიადების მომზადებასა და ჩატარებაზე ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი.

სარაიონო სპარტაკიადების ორგანიზაცია, მომზადება და ჩატარება ხორციელდება ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტების მიერ.

სარაიონთაშორისო სპარტაკიადების პროგრამაში შეტანილ სპორტის სახეობებში შეჯიბრებათა უშუალო ჩატარებისათვის ზონებში იქმნება მთავარი სამსაჯო კოლეგიები და სამსაჯო კოლეგიები სპორტის ცალკეულ სახეობებში ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სექციათა საბჭოს წარდგინებით.

VI. საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადის პროგრამა

საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადის პროგრამაში შედის სპორტის შემდეგი სახეობანი:

1.	კალათბურთი (ვაჟები, ქალები)	18 კაცი
2.	ქართული ჰიდაობა	9 „
3.	ველო-სპორტი (გზატკეცილი. ვაჟები, ქალები)	6 “
4.	ფრენბურთი (ვაჟები, ქალები)	16 „
5.	ტანვარჯიში (ვაჟები, ქალები)	7 „
6.	მძლეოსნობა (ვაჟები, ქალები)	15 “
7.	ტყვიით სროლა	6 „
8.	სიმძიმეების აწევა	8 „
9.	ფეხბურთი	15 „
	წარმომადგენლები და მომსახურე პერსონალი	4 „
	სულ	104 კაცი

შენიშვნა: მწვრთნელ-წარმომადგენლები შედიან გუნდების აღნიშნულ რიცხობრივ შემადგენლობაში სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

VII. სარაიონთაშორისო სპარტაკიადის საერთო გუნდური პირველობის განსაზღვრის წესი

სარაიონთაშორისო სპარტაკიადის საერთო გუნდური პირველობა განისაზღვრება მონაწილე კოლექტივების მიერ სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით მიღებული ქულების უმეტესი ჯამის მიხედვით. ქულები სპორტის ცალკეულ სახეობებში გუნდს დაეწერება დაკავებული ადგილის შესაბამისად და სპარტაკიადაში მონაწილე კოლექტივების რაოდენობის მიხედვით. სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სპორტის რომელიმე სახეობაში გუნდის გამოუყვანლობისათვის კოლექტივს ეწერება 0 ქულა.

მონაწილეთა მიერ სპორტის ცალკეულ სახეობებში ნაჩვენები შედეგები, რომლებიც III თანრიგზე დაბალია, გუნდის ჩათვლაში არ შედის.

გუნდებს, რომლებმაც დაიკავეს პირველი ადგილები სპორტის სახეობათა მიხედვით, დაეწერებათ იმდენი ქულა, რამდენი რაიონიც მონაწილეობს ზონაში; მეორე ადგილისათვის დაეწერება ერთი ქულით ნაკლები და ა. შ.

VIII. საქართველოს სსრ სარაიონთაშორისო სპარტაკიადის გამარჯვებული გუნდებისა და მონაწილეთა დაჯილდოება

1. რაიონის ნაკრები კოლექტივები, რომლებიც ზონებში დაიკავებენ საერთო პირველ-გუნდურ ადგილებს, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ჯილდოებით და მე-3 ხარისხის დიპლომებით.

2. გუნდები, რომლებიც ზონებში პირველ ადგილებს დაიკავებენ სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით, დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მე-3 ხარისხის დიპლომებით და მიიღებენ სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებას.

IX. მონაწილე ორგანიზაციათა და ცალკეულ მონაწილეთა მიღების პირობები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი თავის თავზე იღებს სპარტაკიადის მონაწილეთა დაბინავებისა და კვების ხარჯებს სარაიონთაშორისო სპარტაკიადების ჩატარების ადგილებზე. ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაწილეთა შეჯიბრებებზე მივლინებასთან, გაიღებენ ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტები.

X. განაცხადების წარდგენის პირობები და წესი

წინასწარი განაცხადები სარაიონთაშორისო ზონალურ სპარტაკიადაში მონაწილეობაზე, აგრეთვე განაცხადები პირად შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის უნდა გაეგზავნოს სპარტაკიადის მთავარ სამსაჯო კოლეგიას არა უგვიანეს 1959 წლის 10 მაისისა.

სპარტაკიადის მონაწილეთა საგანაცხადო სიები დადგენილი ფორმის მიხედვით მონაწილე ორგანიზაციათა მიერ სპარტაკიადის სამანდატო კომისიას უნდა ჩაბარდეს სპარტაკიადის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე.

სახელობით განაცხადთან ერთად უნდა ჩაბარდეს სარაიონო სპარტაკიადების ანგარიშები და ოქმების ასლები, აგრეთვე სპორტული დელეგაციის პირადი შემადგენლობის ანკეტები (დადგენილი ფორმით) და მონაწილეთა საკლასიფიკაციო ბილეთები.

საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში მასობრივი მძლეოსნური კროსის ჩატარების შესახებ, რომელიც მიეძღვნება ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს.

კროსის ფინალური შეხვედრები გაიმართება 2 ნოემბერს მოსკოვში, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს მასობრივი შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. ფინალური შეხვედრების პროგრამაშია: რბენა 500 მეტრზე გოგონებისათვის, 1.000 მეტრზე ჰაბუკებისათვის, 2.000 მეტრზე ქალებისათვის და 8.000 მეტრზე ვაჟებისათვის. ძირეულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში კროსის დებულებას დაამუშავებენ კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

შეჯიბრებები ადგილებზე უნდა ჩატარდეს სპორტული ზეიმის ვითარებაში. კომკავშირის კომიტეტებმა, რაიკომებმა, ქალაქკომებმა, ოლქკომებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, აგრეთვე ახალგაზრდული გაზეთების რედაქციებმა უნდა დააწესონ ვიმპელები და ჯილდოები შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების დასაჯილდოებლად.

საკ. ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა სპეციალური საიუბილეო პრიზი, რომლითაც დაჯილდოვდება ფინალურ შეხვედრებში გამარჯვებული კოლექტივი.

ლიტ. საქ.

მე-2 გვ. № 107 (1277)

კიაფის დეგუღეგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

I, II და III ჯგუფისათვის

I და II ჯგუფების მონაწილეთა რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 20 კაცს (9 ვაჟი, 9 ქალი) და თითო მწვრთნელი ყოველ გუნდზე. III ჯგუფის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 18 კაცს (8 ვაჟი, 8 ქალი) და თითო მწვრთნელი ყოველ გუნდზე.

კალათბურთის შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ ყველა ქალაქისა და რაიონის გუნდები, რომლებიც დაყოფილი არიან 3 ჯგუფად:

I ჯგუფი — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისი, ქუთაისი.

II ჯგუფი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქ. ქ. ფოთი, რუსთავი, გორი, ჭიათურა.

III ჯგუფი — სარაიონთაშორისო სპარტაკიადის ზონებში გამარჯვებული გუნდები.

თამაშები I ჯგუფში ჩატარდება წრიული სისტემით (ორ წრედ), II და III ჯგუფებში შეჯიბრება ტარდება შერეული სისტემით.

ყველა თამაში უნდა ჩატარდეს შედეგამდე. გამარჯვებისათვის გუნდს ეწერება 1 ქულა, წაგებისათვის—0.

ორ გუნდს შორის ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში I ჯგუფში უპირატესობა ენიჭება მათს შორის გამარჯვებულ გუნდს. ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში 3 და მეტ გუნდს შორის, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს მოგებათა მეტი რაოდენობა ამ გუნდების ერთმანეთთან შეხვედრებში.

თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა ერთმანეთს შორის.

კრივი

I და II ჯგუფები

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 11 კაცს, მათ შორის 10 მონაწილე (თითო მოკრივე ყოველ წონითს კატეგორიაში) და 1 მწვრთნელი.

შეჯიბრება პირად-გუნდური ხასიათისაა და ტარდება მონაწილეთა შეჯიბრებიდან გამოთიშვით 2 დამარცხების შემდეგ.

პირადი პირველობა ტარდება კრივის შეჯიბრებათა წესების შესაბამისად. გუნდური პირველობა ყოველ ჯგუფში განისაზღვრება მონაწილეთა მიერ პირადი პირველობის გათამაშებაში დაკავებული ადგილების (ქულების) ჯამის მიხედვით I და II ჯგუფებში ცალცალკე.

მონაწილეთა მიერ ყოველ ცალკეულ წონითს კატეგორიაში დაკავებული პირველი ადგილისათვის გუნდს ეწერება იმდენი ქულა, რამდენი მონაწილე კოლექტივიცაა მოცემულ ჯგუფში, მეორე ადგილისათვის 1 ქულით ნაკლები და ა. შ.

სპარტაკიადის პირადი პირველობა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაზე გათამაშდება პირველი ჯგუფის მონაწილეთა შორის.

გუნდი, რომელიც დააგროვებს ქულათა უმეტეს რაოდენობას თავის ჯგუფში, ითვლება გუნდურ პირველობაში გამარჯვებულად.

თუ გუნდს რომელიმე წონითს კატეგორიაში არა ჰყავს მონაწილე, მას დაეწერება 0 ქულა.

თუ ორ და მეტ გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს მეტი პირველი, მეორე და ა. შ. ადგილები.

I ჯგუფის შეჯიბრებაში დაიშვებიან პირველი თანრიგის სპორტსმენები, II ჯგუფში — მეორე თანრიგის სპორტსმენები.

კლასიკური, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა

ნაკრები გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა ჭიდაობის ყოველ სახეობაში უდრის 9 კაცს, მათ შორის 8 მონაწილეა (თითო მონაწილე ყოველ წონითს კატეგორიაში) და ერთი მწვრთნელი.

მონაწილე გუნდების შემადგენლობაში დაიშვებიან: I ჯგუფში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში— ოსტატები და პირველთანრიგოსნები; ქართულ ჭიდაობაში — არა ნაკლებ II თანრიგის სპორტსმენები.

II ჯგუფში: თავისუფალ ჭიდაობაში — უმჩატეს, ქვემძიმე და მძიმე წონის კატეგორიებში არა ნაკლებ II თანრიგის სპორტსმენები, დანარჩენ კატეგორიებში — პირველთანრიგოსნები; ქართულ ჭიდაობაში — არა ნაკლებ II თანრიგის მქონე სპორტსმენები.

III ჯგუფში: ქართულ ჭიდაობაში — მონაწილეთა 50 პროცენტი არა ნაკლებ II თანრიგისა და 50 პროცენტი — არა ნაკლებ III თანრიგის სპორტსმენები.

შეჯიბრება პირად-გუნდური ხასიათისაა, მონაწილეთა გამოთიშვით 6 წაგებული ქულის მიღების შემდეგ.

სპარტაკიადის პირადი პირველობა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაზე გათამაშდება მხოლოდ I ჯგუფის მონაწილეთა შორის.

მონაწილის მიერ ყოველ წონითს კატეგორიაში დაკავებული პირველი ადგილისათვის ეწერება 1 ქულა, მეორე ადგილისათვის 2 ქულა და ა. შ.

გუნდი, რომელიც შეჯიბრების შედეგად დააგროვებს ქულათა უმცირეს რაოდენობას, ითვლება გამარჯვებულად.

თუ გუნდს რომელიმე წონითს კატეგორიაში არა ჰყავს ჩათვლითი მონაწილე, მას დაეწერება იმდენი ქულა, რამდენი მონაწილეცაა ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან წონითს კატეგორიაში (8 წონიდან) ერთი საჯარიმო ქულის მიმატებით.

უდისციპლინობის გამო შეჯიბრებიდან მონაწილის მოხსნისათვის (გადაწონვა, შეხვედრაზე გამოუსვლელობა და ა. შ.) გუნდს ეწერება იმდენივე ქულა, როგორც მონაწილის გამოუყვანლობისას და დამატებით კიდევ ორი საჯარიმო ქულა.

შეჯიბრების მსვლელობაში გამოთიშულ მოჭიდავეთა შეცვლა არ შეიძლება რაც არ უნდა მიზეზით იყოს ეს გამოწვეული.

ველო-სპორტი

საგზატკეცილო რბოლა სარბოლ მანქანებზე

I ჯგუფი

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 19 კაცს, აქედან მონაწილეა 17 (12 ვაჟი, 5 ქალი, 2 მწვრთნელი).

გუნდების შემადგენლობაში დაიშვებიან მხოლოდ პირველი თანრიგის მჭრნე სპორტსმენები.

შეჯიბრების პროგრამა

ვაჟები

1. მრავალდღიანი რესპუბლიკური ველო-რბოლა ფინიშით ქ. თბილისში საქართველოს სსრ სპარტაკიადის გახსნის დღეს.
2. საგზატკეცილო წრიული რბოლა 200 კმ (საერთო სტარტი).
3. გუნდური რბოლა 100 კმ (4 კაცი).
4. კროსი 30 კმ.

ქალები

1. საგზატკეცილო წრიული რბოლა 50 კმ (საერთო სტარტი).
2. გუნდური რბოლა 25 კმ (4 მონაწილე).

ყოველ მონაწილე ვაჟს უფლება აქვს გამოვიდეს საგზატკეცილო რბოლის არა უმეტეს 2 სახეობაში.

მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობენ გუნდები 5 მრბოლელის შემადგენლობით. ჩათვლა წარმოებს 3 საუკეთესოს მიხედვით ყოველ ეტაპზე. გუნდური პირველობა განისაზღვრება ჩათვლით მონაწილეთა მიერ რბოლის ყველა ეტაპზე ნაჩვენები დროის ჯამის მიხედვით.

რბოლაში 200 კმ და კროსში ვაჟთათვის, 50 კილომეტრზე ქალთათვის ყოველი გუნდიდან დაიშვება 4 მონაწილე, ჩათვლა 3 საუკეთესო ადგილების ჯამის მიხედვით.

თუ გუნდს პროგრამის რომელიმე სახეობაში არა ჰყავს ჩათვლით მონაწილეთა სრული რიცხვი, ყოველ ნაკლულ მონაწილეზე მას დაეწერება უკანასკნელ ადგილზე გამოსული მონაწილის ქულები 1 საჯარიმო ქულის მიმატებით.

პირველი ადგილისათვის პროგრამის ყოველ სახეობაში გუნდს ეწერება 4 ქულა, მეორე ადგილისათვის — 3 ქულა და ა. შ.

საერთო გუნდური ადგილი განისაზღვრება გუნდების მიერ პროგრამის ყველა სახეობაში მიღებული ქულების ჯამის მიხედვით.

პირადი პირველობა განისაზღვრება შეჯიბრების წესების შესაბამისად.

შენიშვნები: 1. გუნდის ჩათვლაში შედის არა ნაკლებ პირველი თანრიგის შედეგები.

2. მრავალდღიანი რბოლა ტარდება განსაკუთრებული დებულების მიხედვით.

II ჯგუფი

ნაკრები გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა საგზატკეცილო რბოლაში სარბოლი მანქანებით უდრის 9 კაცს. აქედან 4 ვაჟი, 4 ქალი, 1 მწვრთნელი.

გუნდის შემადგენლობაში დაიშვებიან არა ნაკლებ მეორე თანრიგის მჭრნე სპორტსმენები.

შეჯიბრების პროგრამა

ვაჟები

1. საგზატკეცილო რბოლა 150 კმ (საერთო სტარტი).
2. გუნდური რბოლა 50 კმ (4 მონაწილე).

ქალები

1. საგზატკეცილო რბოლა 25 კმ (საერთო სტარტი).
2. გუნდური რბოლა 20 კმ (4 მონაწილე).

ყოველ მონაწილეს უფლება აქვს გამოვიდეს პროგრამის 2 სახეობაში.

რბოლაში 150 კმ ვაჟთათვის და 25 კმ ქალთათვის ყოველი გუნდიდან დაიშვება 4 მონაწილე. ჩათვლა 2 საუკეთესო მრბოლელის დროის ჯამის მიხედვით.

საერთო გუნდური პირველობა განისაზღვრება მონაწილე გუნდების მიერ დაკავებული ადგილების (ქულების) უდიდესი ჯამის მიხედვით გუნდური პირველობის პროგრამის ყველა სახეობაში.

პირველი ადგილისათვის პროგრამის ყველა სახეობაში გუნდს ეწერება 5 ქულა, მეორე ადგილისათვის— 4 და ა. შ.

თუ ორ და მეტ გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს უკეთესი გუნდური ადგილი საგზატკეცილო რბოლაში 150 კმ ვაჟთა შორის.

პირადი პირველობა განისაზღვრება შეჯიბრების წესების შესაბამისად.

შენიშვნა: გუნდის ჩათვლაში შედის არა ნაკლებ II თანრიგის შედეგები.

III ჯგუფი

ნაკრები გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა საგზატკეციელო რბოლაში უდრის 7 კაცს, მათ შორის 3 ვაჟი, 3 ქალი, 1 მწვრთნელი.

გუნდის შემადგენლობაში დაიშვებიან III თანრიგის სპორტსმენები.

შეჯიბრების პროგრამა

ვაჟები

1. საგზატკეციელო რბოლა საგზაო მანქანებზე 25 კმ (შეუალდებიანი სტარტი).

ქალები

საგზატკეციელო რბოლა საგზაო მანქანებზე 20 კმ (შეუალდებიანი სტარტი).

გუნდური პირველობა განისაზღვრება ორი საუკეთესო მრბოლელის დროთა ჯამის მიხედვით როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

საერთო გუნდური პირველობა განისაზღვრება მონაწილე გუნდების მიერ (როგორც ვაჟთა, ისე ქალთა) დაკავებული ადგილების (ქულების) უმეტესი ჯამის მიხედვით. ამასთან, პირველი ადგილისათვის გუნდი ღებულობს იმდენ ქულას, რამდენი მონაწილე გუნდიცაა, მეორე ადგილისათვის — ურთი ქულით ნაკლებს და ა. შ.

პირადი პირველობა განისაზღვრება შეჯიბრების წესების შესაბამისად.

შენიშვნა: გუნდის ჩათვლაში შედის არა ნაკლებ III თანრიგის შედეგი.

წყალბურთი

გუნდის რიცხობრივი შემადგენლობა უდრის 10 კაცს, მათ შორის 1 მწვრთნელია.

შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით ერთ წრედ.

გამარჯვებული გუნდი განისაზღვრება დაგროვებულ ქულათა უმეტესი რაოდენობის მიხედვით.

გამარჯვებისათვის გუნდს ეწერება 2 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0.

თუ ორ გუნდს ექნა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელმაც გაიმარჯვა მათ შორის. ამ გუნდებს შორის შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება მთელ გათამაშებაში.

ფრენბურთი

I, II და III ჯგუფებისათვის

I და II ჯგუფების გუნდების შემადგენლობა უდრის 18 კაცს (8 ვაჟი, 8 ქალი) და თითო მწვრთნელი გუნდზე.

III ჯგუფის გუნდების შემადგენლობა უდრის 16 კაცს (7 ვაჟი, 7 ქალი) და თითო მწვრთნელი გუნდზე.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ ყველა ქალაქისა და რაიონის გუნდები, რომლებიც დაყოფილი არიან 3 ჯგუფად.

I ჯგუფი — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისი, ქუთაისი.

II ჯგუფი — სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი, ქ. ქ. ფოთი, რუსთავი, გორი, ჭიათურა.

III ჯგუფი — სარაიონთაშორისო სპარტაკიადის ზონებში გამარჯვებული გუნდები.

თამაშები I ჯგუფში ტარდება წრიული სისტემით ერთ წრედ. შეჯიბრება II და III ჯგუფებში ტარდება შერეული სისტემით.

I და II ჯგუფების გუნდებისათვის თამაშები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის წარმოებს 5 პარტიისაგან.

თამაშები III ჯგუფის გუნდებისათვის შედგება 3 პარტიისაგან.

გუნდების ადგილები განისაზღვრება მათ მიერ დაგროვილი ქულების მიხედვით.

გამარჯვებისათვის გუნდს ეწერება 1 ქულა, წაგებისათვის — 0.

თუ I ჯგუფის ორ გუნდს აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა, უპირატესობა ეძლევა მათ შორის გამარჯვებულს.

თუ ქულათა რაოდენობა თანაბარი აღმოაჩნდა 2 და მეტ გუნდს, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს შოგებული და წაგებული პარტიების უკეთესი შეფარდება ამ გუნდებს შორის შეხვედრებში.

თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოჩნდა, უპირატესობა ეძლევა გუნდს, რომელსაც აქვს მოგებული და წაგებული ბურთების უკეთესი შეფარდება მათ შორის შეხვედრებში.

ᲛᲔ-Ა ᲒᲒ. № 107 (1277)

სურათზე: შხარის კედლის დამპყრობნი. მარცხნიდან — სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე, ო. კაპანაძე, დ. დანგაძე და ა. ძიძიგური.

როგორ დავიპყარით შხარის კედელი

(დასასრული)

დაიძრნენ ელექტროობით დამუხტული ღრუბლები ჩვენს ირგვლივ და დამიწების ადგილებს ეძებდნენ, ეძებდნენ რკინას, როშელიც უველაზე მეტი ამ უკამად ჩვენ გვქონდა. სასწრაფოდ მოვიცილეთ რკინის ნაწილები და შეძლებისდაგვარად ჩვენგან შორს დავაწყეთ (ეს სიშორე 2 მეტრით განისაზღვრა). ისედაც ცივი ღამე თეთრად გავათენეთ.

11 აგვისტოს, დილის 6 საათზე შევუტიეთ მწვერვალს და დღის 12 საათზე მწვერვალზე ვიყავით. პირველ ამსვლელთა უფლებით მას ვუწოდეთ „თბილისის 1500 წელი“.

ვემზადებით ძირითადი და გადამწყვეტი იერიშისათვის შხარის შვეული კედლის დასაპყრობად. შხარაზე იერიშს მიიტანენ დ. ობოლაძე, გ. დევიძე, დ. დანგაძე, ო. კაპანაძე და ა. ძიძიგური. სამწუხაროდ, ხუთეულს ავადმყოფობის გამო გამოაკლდა სპორტის ოსტატი გ. დევიძე. დავრჩით ოთხნი. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, 17 აგვისტოს უნდა გავიდეთ. ბანაკიდან და 18 აგვისტოს დავიწყოთ იერიში, თორემ გვიანდება, დღის ხანგრძლიობა იკლებს და მოსალოდნელია ახალმა თოვლის საბურველმა დაფაროს კლდეები.

შხარის კედლის დაპყრობის გზა.

17 აგვისტოს 5 საათზე ხალდეს უინვარის გადავლის შემდეგ საიერიშო ბანაკში ვართ. დამხმარე ჯგუფი ხვალ საღამოს იქნება აქ ჩვენს ადგილზე, ხოლო ჩვენ ალბათ შხარის პირქუში კედლებიდან მივესალმებით მათ.

18 აგვისტოს დავიწყეთ უძნელესი გზა შხარის კედელზე წინ გვედო 65-70-გრადუსიანი დაქანების უინულოვანი ფერდობები, ხერხის კბილებივით ჩაჭრილი კლდოვანი ჰიუბები. პალოების დამაგრებით, საფეხურების ჭრით გადავდივართ საშიშ უინულოვან ღარს, რომელიც წარმოშობილია ძირითადად ქვისცვენის და თოვლიანი ზვავების ჩამოსვლის შედეგად, ძაბრისებურ უელში თუ მოგვისწრო საშიშარმა ცვენამ, ვერსად გავექცევით.



მწვერვალი „თბილისის 1500 წელი“.

უინულთან 3-საათიანი ჰიდილის შემდეგ გავედით ძაბრის სათავეებიდან, გადავჭერით ფირნით დაფარული უინულოვანი ფერდი და უშუალოდ მივადექით გრანიტის კლდოვან კუნძულს.

კედლის უველა პატარა მონაკვეთი მოითხოვს რთული ალპინისტური ტექნიკის გამოყენებას. მკერდით ვეუუდებით კლდეებს, ვისვამთ მხრებზე ამხანაგს, რომელიც არჰობს კლდეებში პალოს და ასე თანდათანობით მივიწევთ წინ. ასეთი წვალებით მივადექით ეგრეთწოდებულ ფილებს. კედლების დაქანება აღემატება 70 გრადუსს. 150 მეტრის გავლის შემდეგ, მკვეთრად ვიცვლით მიმართულებას. მარცხნიდან მარჯვნივ გავუევით ვიწრო დერეფანს, რომელმაც საკმაოდ მოზრდილ დაქანებულ მოედანზე გაგვიყვანა. აქ მოვისხენით ზურგჩანთები და დავისვენეთ, შემდეგ გავიარეთ ოდნავ დახრილი 8-10 მეტრის სიგრძის თარო და მივადექით 70-მეტრიან ვერტიკალურ კედელს. აქ უკვე იძულებული გავხდით გამოგვეყენებია თოკის კიბეები და ასე ავსულიყავით ზევით. ოდნავ დახრილი ღარით გავძვერით და უშუალოდ მივადექით კლდოვან მასივს, რომელიც თავის წინ გადმოწევის შედეგად, ქმნიდა კლდეში ღრმულს. დაღამდა. კლდეში შევდგით კარავი და ღამის გასათევად მოვემზადეთ.

19 აგვისტო. ამინდი კარგია. ვჩქარობთ. ვიწრო ხვრელისებური ავიწით გაწოლილები მივუვებით კედელს და 50 მეტრის გავლის შემდეგ გავდივართ ჩამოდნობილი უინულით დაფარულ 60-70-გრადუსიანი დაქანების კულუარში. ვჭრით საფეხურებს და დიდი სიფრთხილით მივიწევთ წინ. გზას ისევ რთულად გასავლელ კედლებს შორის ვაგრძელებთ. მოძრავი ქვები წალეკვით გვემუქრებიან.

კლდეებს შორის ჩამდნარი უინული სარკესავით კრიალებს და საფეხურების ჭრის დროს წერაუინის მიერ ანასხლეტი ნამსხვრევები სახეს გვიკაწრავენ. საღამოვდება და ღამის გასათევი ადგილი არსად ჩანს. დავიწუეთ კლდეებსა და ვიწრო დათოვლილ ქედზე საკარვე ადგილის მოსწორება, მაგრამ ამოდ. იძულებული ვართ გაუშლელი კარავი კლდეზე და უინულზე მივამაგროთ, შევძვრეთ შიგ და ნახევრად დაკიდებულებმა გავათენოთ ღამე. მთელი ღამის განმავლობაში წუურვილი გვაწუხებდა, თოკზე დაბმულებს ძილის საშუალებაც არა გვაქვს.

20 აგვისტოს ღამის სათევ ადგილიდან გზას ისევ ვერტიკალურ კედლებზე ვაგრძელებთ. ჩვენი ღოჯებიანი ფეხსაცმელი გლუვ კედლებზე სრულებით აღარ იჭერს. მივადექით 40-მეტრიან ბუხარს, რომლის დაქანება ძალზე სახიფათოს ხდის გზას, დიდი წვალებით მივცოცავთ წინ. გავდივართ ვიწრო ბაქანზე, სადაც მხოლოდ ორ კაცს შეუძლია შეისვენოს, იძულებული ვართ შეუსვენებლივ განვაგრძოთ გზა. ოთხი უძილო ღამისა და ხუთდღიანი ჰიდილის შემდეგ მწვერვალის წინა ვერტიკალურად დაკიდულ უინულს შევუტიეთ. გავჭერით 350 საფეხური და 22 აგვისტოს საღამოს 8 საათზე მწვერვალის ქედზე გავედით.

23 აგვისტოს დილით მწვერვალზე ერთმანეთს ვულოცავდით გამარჯვებას.

დ. ობოლაძე,
ექსპედიციის უფროსი.



ტაიმის დასასრულს

თბილისი. „დინამო“ სტალინგრადი 6 სექტემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (სტალინგრადი) 2:1 (2:1).

„მეტალურგი“ — ტრუფანოვი; გრიგორიევი, პავლოვი, ჩერნოვი; ლეონტიევი, სიბილევი; გურკინი, ფარტუკოვი, სისოევი, შირიაშკინი, კუსკოვი.

„ბურევესტნიკი“ — რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, სიჭინავა; იაშვილი, ჩიჩუა, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ავაქოვი.

მსაჯი გ. ეპიხინი (მოსკოვი).

გათამაშების ფინიშზე, როცა უოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ლიდერებს სულ უფრო უჭირთ ბრძოლა მეტოქეებთან. ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა თბილისის „ბურევესტნიკი“ გუშინდელ მატჩში სტალინგრადის „მეტალურგთან“.

უპირველეს უოვლისა, აღსანიშნავია, „მეტალურგის“ ახალგაზრდული, სწრაფი და აგრესიული თავდასხმა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევიან სისოევი და გურკინი. უნარიანად ხელმძღვანელობს გუნდის თამაშს შუა მინდორზე და მოწინააღმდეგის კართან ფარტუკოვი. სტუმრების ფორვარდებმა მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს.

თბილისელების თამაშს ამ დღეს აკლდა კომბინაციურობა და სიმწვავე. მათ ვერ შეძლეს უპირატესობის მოპოვება მინდვრის ცენტრში და მცველებს უჭირდათ ინდივიდუალური ბრძოლა „მეტალურგის“ თავდამსხმელებთან.

მიუხედავად ამისა, „ბურევესტნიკმა“ შეძლო გამარჯვების მოპოვება და გათამაშების ცხრილში ჩაიწერა მეტად საჭირო ორი ქულა.

ანგარიში გახსნა იაშვილმა. შემდგომში კუსკოვმა გაათანაბრა იგი, მაგრამ ტაიმის დასასრულს ჩიჩუამ გაიტანა გოლი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ — 2:1.

* * *

შედგა მორიგი მატჩები „ბ“ კლასის IV ზონაში. ერევნის „სპარტაკმა“ ფრედ — 0:0 ითამაშა სტავროპოლის თანაკლუბელებთან, ხოლო „ყუბანმა“ (კრასნოდარი) წააგო თამაში ლენინაკანში ადგილობრივ „შირაქთან“ — 1:2.



⊙ **ბუდაპეშტი.** უნგრეთის სპორტსმენებმა ამ დღეებში ორი შესწორება შეიტანეს ეროვნული რეკორდების ცნრილში. ი. სეჩენმა ბადროს ტყორცნაში მიმდინარე სეზონში მესამედ გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი — 56,60 მ.

⊙ **ბერლინი.** 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში, რომელიც კასელში გაიმართა, დამყარებულ იქნა ორი რეკორდი. ერთი ეკუთვნის ხ. ჰიუნეკს (გფრ) (8.37,4), ხოლო მეორე — ჰ. ბულს (გდრ) — 8.37,6.

⊙ **კელნი** (გფრ). 500-მეტრიან სარბენ ბილიკზე გფრ-ს გუნდმა მ. შტეინბახის, მ. ლაუერის, ჰ. ფიუტერერისა და მ. ბერმანის შემადგენლობით 0,3 წამით გაუმჯობესა ევროპის რეკორდი ესტაფეტაში 4×100 მეტრზე, რომელიც საბჭოთა კავშირის გუნდს ეკუთვნოდა. ახალი რეკორდი — 39,5 ამერიკელთა მსოფლიო რეკორდის განმეორებაა.

⊙ **სოფია.** „ლევსკისა“ და არმიელთა გუნდების მატჩით დაიწყო ბულგარეთის 1958-1959 წლების საფეხბურთო სეზონი. ამ სეზონიდან რესპუბლიკის პირველობა ჩატარდება ორ წრედ—შემოდგომასა და გაზაფხულზე.



თავისუფალი ჰიდაობა. საქართველოს პირველობა. მონაწილეობენ: თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ონისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოჭიდავეთა კოლექტივები. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. დასაწყისი 18 ს.

ფრენბურთი. თბილისის კომკავშირულ მუშაკთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. საზოგადოება „განთიადის“ სპორტული მოედნები. დასაწყისი 16 ს.

წყალში ხტომა. თბილისის პირველობის მეორე ტური. ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზი. დასაწყისი 17 ს.

„ექსტრა-კლასის“ სპორტსმენები

ავტომობილისტთა საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა „ექსტრა-კლასის“ სპორტსმენთა (ეგრეთწოდებული „ა“ მრბოლელები) სია, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ავტოშეჯიბრებაში. ესენი არიან: ჟან ბერა და მორის ტრინტინიანი (საფრანგეთი), ტონი ბრუკსი, პიტერ კოლინზი, სტირლინგ მოსი, მაიკ დაუტორნი და ლუის ევანსი (ინგლისი), ბერგ ტრიპსი (გფრ), შელი ჰილი (აშშ), განდებიენი (ბელგია), მუსო (იტალია) და მსოფლიო ჩემპიონი ხუან ფანჰიო (არგენტინა), სულ 13 კაცი.

მსოფლიო ჩემპიონის რევანში

გაიმართა ბუენოს-აირესის დიდი პრიზის გათამაშება ავტორბოლაში. 282,42-კილომეტრიანი დისტანცია (60 წრე) „მაზერატის“ მარკის მანქანაზე მოიგო მსოფლიოს ჩემპიონმა ხუან ფანჰიომ. მან დისტანციაზე განავითარა საშუალოდ 106,713 კმ საათში.

როგორც ცნობილია, გასულ წელს ბუენოს-აირესის დიდი პრიზი ამავე ტრასაზე მოიგო ინგლისელმა სტირლინგ მოსმა. წელს იგი მეორე წრის შემდეგ იძულებული იყო ჩამოცილებოდა რბოლას, ვინაიდან მის ავტომანქანას დაუზიანდა რაღაც ნაწილი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ფანჰიომ განაცხადა — „წელს რომ რევანში არ ამეღო, ცოცხალი არ გამოვიდოდი რბოლიდანო“.

მაცდუნებელი წინადადება

მსოფლიო ჩემპიონები ფეხბურთში — ბრაზილიელი ფეხბურთელები კვლ 3 უურადღების ცენტრში არიან. მათ აუარებელ, სულ სხვადასხვა სახის წინადადებებს აძლევენ...

მაგალითად, მეკარე სანტოს ნევეს ჟილმარს 500 წინადადება მოუვიდა მრავალგვარ ექსკურსიებში გამგზავრების, ჰგრეთვე ფეშენებელურ სასტუმროებსა და პანსიონატებში უფასოდ დასვენების შესახებ.

ნილტონ სანტოს 100 გემთმფლობელი თხოვს ქალი თავაზობს თავის დაიკავოს კაპიტნის ადგილი მათს იახტებზე.

მაგრამ უველაზე მაცდუნებელია წინადადება, რომელიც მიიღო პელემ. 17 წლის ზანგ ჰაბუას 38 წლის ქვრივი მილიონერი გულს, ხელსა და... მილიონებს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის 3—89—62, მდივნისა და განყოფილებების 3—90—34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06412